ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 52
25/05/2018

52-04-4-201805251741

„30 აპრილს ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მის მიერ ინიცირებული 30 აპრილს ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცებაზე.
2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე